

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების  
საგანმანათლებლო პროგრამა**

**ზოგადი ინფორმაცია**

**პროგრამის სახელწოდება** – ინგლისური ენა (პროფესიული ცოდნა და ინგლისური ენის სწავლების მეთოდოლოგია).

**პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) რაოდენობის მითითებით** – 4 კრედიტი (60 საკონტაქტო, 40 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ: 100 საათი).

**საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების ზოგადი განმარტება.**

საკონტაქტო საათში იგულისხმება ის დრო, რომელსაც მსმენელი უთმობს ლექციაზე, სემინარზე, კოლოკვიუმზე, პრეზენტაციაზე, პრაქტიკულ და ლაბორატორიულ მეცადინეობაზე და სხვ. დასწრებას.

**დამოუკიდებელი მუშაობის საათი** გულისხმობს მსმენელის მიერ ლექციაზე მოსმენილი მასალის დამოუკიდებლად დამუშავებას იმ ძირითადი ლიტერატურის გამოყენებით, რომელიც მითითებულია სასწავლო გეგმაში თითოეულ საკითხთან დაკავშირებით. დამოუკიდებელი მუშაობის საათებში გათვალისწინებულია ის დრო, რომელსაც უთმობს მსმენელი სემინარისთვის, კოლოკვიუმისთვის, საბოლოო გამოცდისთვის და სხვ. მზადებას, პრეზენტაციის, აკადემიური პორტფოლიოს, საშინაო დავალების, საცდელი გაკვეთილის და სხვ. მომზადებას.

**პროგრამის ხანგრძლივობა** – 11 დღე (სამიზნე ჯგუფის სურვილის მიხედვით, ბლოკ-სემინარის სახით ან ყოველ შაბათ-კვირას 6 კვირის განმავლობაში).

**პროგრამის განხორციელების ადგილი** – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3, III კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11, V კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. № 36.

**პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა** – ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა: 14. ერთდროულად შესაძლებელია სამი ჯგუფის მომსახურება. ვინაიდან ინტენსიური სწავლების შემთხვევაში პროგრამის ასათვისებლად საკმარისია 11 დღე, ყოველ მეთორმეტე დღეს შესაძლებელია მივიღოთ მსმენელთა ახალი ნაკადი.

**პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების რაოდენობა** – 3 მასწავლებელი.

**პროგრამის ავტორი / ხელმძღვანელი** (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენების ცენტრის დირექტორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან დოლიძე.

**პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი** – პროგრამაში ჩართვის წინაპირობა არის ინგლისური ენის მასწავლებლის დიპლომი. პროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ზემოთ აღნიშნული დიპლომის (ანუ განათლების) მქონე პირები, რომლებიც უკვე არიან ან მომავალში აპირებენ ინგლისური ენის მასწავლებლად მუშაობას (რომელთა ენობრივი კომპეტენცია შეესაბამება სულ მცირე B2 დონეს). პროგრამის მსმენელთა შერჩევა მოხდება წერითი გამოცდის საფუძველზე.

**პროგრამის ღირებულება** – 160 ლარი.

**პროგრამის შემუშავების თარიღი** – 2009 წლის იანვარი (პროგრამა დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2009 წლის 16 თებერვლის # 181 დადგენილებით) (იხ. დანართი II).

**პროგრამის მოდიფიცირების თარიღი** – 2009 წლის მარტი, თსუ რექტორის 2009 წლის 4 მარტის # 22/01-01 ბრძანების შესაბამისად (იხ. დანართი II).

## პროგრამის შინაარსი

**პროგრამის მიზნები და ამოცანები** – პროგრამის მიზანია მასწავლებლებს გააცნოს ინგლისური ენის სწავლების ახალი მეთოდები და მიდგომები.

**პროგრამის ამოცანებია:**

- თეორიული ბაზისის მიცემა, რაც უზრუნველყოფს მსმენელთა გათვითცნობიერებას კომუნიკაციურ და რეცეპტორულ უნარებში, პროდუცირებისა და სხვა საკითხებში;
- განვითარებისა და სწავლის თეორიების შესახებ სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება;
- სასწავლო გეგმების მიზნების შესაბამისი აქტივობებისა და სტრატეგიების შემუშავება;
- სწავლების დროს სასწავლო და პროფესიული გარემოს ცოდნის აუცილებლობის განსაზღვრა. მისი, როგორც სისტემის, გააზრება და ამ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამომუშავება.

**პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები** – პროგრამის გავლის შემდეგ მასწავლებლებს:

- ეცოდინებათ ინგლისური ენის სწავლების ძირითადი მეთოდებისა და სტრატეგიების მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები;
- შეძლებენ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და მაღალი დონის გაკვეთილის ჩატარებას;
- შეძლებენ საგნის სხვადასხვა ასპექტის გათვალისწინებით მრავალმხრივი ხედვის განვითარებას;
- შეძლებენ სხვადასხვა მოსაზრების გააზრებას და სწორ რეაგირებას;
- კონკრეტულ სიტუაციაში საგანმანათლებლო პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტას;
- გაკვეთილის პროცესის საინტერესოდ და ეფექტურად აგებას, გაკვეთილის მიზნის გათვალისწინებით;
- გამოუმუშავდებათ სასწავლო გეგმების მიზნების შესაბამისი აქტივობებისა და სტრატეგიების შემუშავების უნარი;
- შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

**პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** – პროგრამა შედგება სამი მოდულისგან:

- ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკა (12 საკონტაქტო საათი + 13 დამოუკიდებელი მუშაობის საათი = 25 საათი);
- კომუნიკაციური უნარების სწავლება (36 საკონტაქტო საათი + 14 დამოუკიდებელი მუშაობის საათი = 50 საათი);
- გაკვეთილის დაგეგმვა და მენეჯმენტი (12 საკონტაქტო საათი + 13 დამოუკიდებელი მუშაობის საათი = 25 საათი).

პროგრამის სამივე მოდელში გამოყენებულია ინტერაქტიული მეთოდი: პრაქტიკულ მეცადინეობაში სრული ჩართულობა, პრეზენტაციები – საჩვენებელი გაკვეთილების წარმოდგენა.

თითოეული მოდული დაეთმობა შემდეგ ძირითად თემებს:

მოდული	თემა
მეთოდოლოგია	<ul style="list-style-type: none"> <li>• გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი და პირდაპირი მეთოდი</li> <li>• აუდიო-ლინგვალური და აუდიო-ვიზუალური მეთოდები</li> <li>• კომუნიკაციური მოდელი</li> <li>• ლექსიკის სწავლების მეთოდები</li> </ul>
კომუნიკაციური უნარები	<ul style="list-style-type: none"> <li>• რეცეპტული უნარები (მოსმენა, კითხვა)</li> <li>• პროდუცირება (წერა, საუბარი)</li> </ul>
გაკვეთილის დაგეგმვა	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტანდარტის (ეროვნული სასწავლო გეგმა, ევროსაბჭოს სარეკომენდაციო ჩარჩო) მოთხოვნების გათვალისწინება გაკვეთილის დაგეგმვის დროს</li> <li>• გაკვეთილის დეტალური დაგეგმვა</li> </ul>

**სწავლების მეთოდოლოგია:** პროგრამის მსვლელობისას გამოყენებული იქნება სწავლების პროცესის აქტივიზაციის ხერხები და მეთოდები: ვერბალური (მონოლოგი, დიალოგი, დისკუსია), წიგნზე მუშაობის მეთოდი (დამოუკიდებელი და ახსნითი), პრაქტიკულ-ვარჯიშობითი (ე. წ. პრაქტიკული სავარჯიშოები), სწავლების დიდაქტიკური პრინციპები (მაგალითად, თვალსაჩინოების, ინდივიდუალური მიდგომის, სისტემატურობის და თანამიმდევრობის პრინციპები და სხვ.). ჩატარდება ინდივიდუალური კონსულტაციები.

პროგრამის შინაარსი, ძირითადი თემები და საკითხები, მათი მოცულობა და დროში განაწილება მოცემულია სასწავლო გეგმაში.

სასწავლო გეგმა

მოდული	საკითხები	ლიტერატურა	საკონტ. საათები
<b>მეთოდოლოგია</b>			<b>12 საათი</b>
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ უცხოური ენის სწავლების ზოგადპედაგოგიური ასპექტები. სწავლების თანამედროვე მეთოდები. (2 სთ. ლექცია/1 სთ. დისკუსია)</li> <li>❖ გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, პირდაპირი მეთოდი. აუდიო-ვიზუალური და აუდიო-ლინგვალური მეთოდი. (1 ლექცია/2 სთ. პრაქტიკული).</li> </ul>	Lindsay, 1-19 Scrivener, 27-38	6 საათი
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ კომუნიკაციური მეთოდი (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ გრამატიკის და ლექსიკის ადგილი სხვადასხვა მეთოდის ფარგლებში. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> </ul> <p><b>შუალედური შეფასება (კოლოკვიუმი – 2 სთ).</b></p>	Lindsay, 20-25, Scrivener, 206–221	6 საათი
<b>კომუნიკაციური უნარები</b>			<b>36 საათი</b>
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ უცხოური ენის სწავლების კომუნიკაციური მოდელი. (1 სთ. ლექცია/2 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ კომუნიკაცია, როგორც სწავლების ძირითადი მიზანი. (1 სთ. ლექცია/2 სთ. პრაქტიკული).</li> </ul>	Scrivener, 226-246	6 საათი
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ მოსმენის უნარის განვითარება. (1 სთ. ლექცია/2 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ მოსმენის უნარის სწავლება სხვადასხვა მეთოდის მიხედვით. მოსმენის სტრატეგიები. (1 სთ. ლექცია/2 სთ. პრაქტიკული).</li> </ul>	Scrivener, 170-181 Lindsay, 45-57	6 საათი
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ კითხვის უნარის განვითარება. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ კითხვის სტრატეგიები. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ ინტესიური და ექსტენსიური კითხვა. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> </ul>	Lindsay, 69-85 Scrivener, 184–191	6 საათი

	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ წერის უნარის განვითარება. (1 სთ. ლექცია/2 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ პარაგრაფიდან ესემდე. შეფასება და შეცდომები. (1 სთ. ლექცია/2 სთ. პრაქტიკული).</li> </ul>	Scrivener, 192–200 Zemach, 5–88	6 საათი
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ საუბრის უნარის განვითარება. (1 სთ. ლექცია/2 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ როლური თამაშები. (1 სთ. ლექცია/2 სთ. პრაქტიკული).</li> </ul>	Scrivener, 146–163 Ladousse, 5–17	6 საათი
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ შეცდომები და მათი გასწორების სხვადასხვა ტექნიკა. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ ტესტირება და შეფასება. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> </ul> <p><b>შუალედური შეფასება (კოლოკვიუმი – 2 სთ.).</b></p>	Scrivener, 298–321 Lindsay, 121–132	6 საათი
<b>გაკვეთილის დაგეგმვა</b>			<b>12 საათი</b>
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ გაკვეთილის მიზნები. ფორმალური და არაფორმალური დაგეგმვა. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ სხვადასხვა აქტივობები და გაკვეთილის კომპონენტების თანამიმდევრობა. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> </ul>	Scrivener, 115–128 Lindsay, 103–121 Seymour, 7–41, 65–120	4 საათი
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ გაკვეთილის დაგეგმვა და მენეჯმენტი, დამხმარე საშუალებები და აქტივობები. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> <li>❖ სწავლების გამჭოლი მიზნები, მეცადინეობის კონკრეტული მიზანი. (1 სთ. ლექცია/1 სთ. პრაქტიკული).</li> </ul> <p><b>შუალედური შეფასება (გაკვეთილის გეგმების პრეზენტაციები – 2 სთ.).</b></p>	Scrivener, 109–133	6 საათი
	<ul style="list-style-type: none"> <li>❖ შემაჯამებელი გამოცდა – 2 სთ. ჯგუფის ტრენერი.</li> </ul>		2 სთ.
<b>სულ:</b>	<b>60 საკონტაქტო საათი + 40 დამოუკიდებელი საათი = 100 საათი</b>		

**ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა:**

1. Scrivener J., Learning Teaching, Macmillan Books for Teachers, 2007;
2. Lindsay C., Learning and Teaching English, A course for Teachers, Oxford University Press, 2007;
3. Zemach D., Rumisek L., Academic Writing, MacMillan, 2007;
4. Seymour D., 700 Classroom Activities, MacMillan, 2005;
5. Ladousse G., Role Play, Resource Books for Teachers, Oxford University Press, 2008;
6. ეროვნული სასწავლო გეგმა, თბილისი, 2006.

**ტრენინგის ჩატარების გრაფიკი**

დღე	საკითხი	საკონტაქტო საათები	ტრენერი /ტრენერები*
I	უცხოური ენის სწავლების ზოგადპედაგოგიური ასპექტები. სწავლების თანამედროვე მეთოდები. გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, პირდაპირი მეთოდი. აუდიო-ვიზუალური და აუდიო-ლინგვალური მეთოდი.	3 სთ. ლექცია 1 სთ. დისკუსია 2 სთ. პრაქტიკული 6 სთ. დამოუკ.	
II	კომუნიკაციური მეთოდი. გრამატიკის და ლექსიკის ადგილი სხვადასხვა მეთოდის ფარგლებში. <b>შუალედური შეფასება (კოლოკვიუმი).</b>	2 სთ. ლექცია 2 სთ. პრაქტიკული 2 სთ. კოლოკვიუმი 7 სთ. დამოუკ.	
III	უცხოური ენის სწავლების კომუნიკაციური მოდელი. კომუნიკაცია, როგორც სწავლების ძირითადი მიზანი.	2 სთ. ლექცია 4 სთ. პრაქტიკული 2 სთ. დამოუკ.	
IV	მოსმენის უნარის განვითარება. მოსმენის უნარის სწავლება სხვადასხვა მეთოდის მიხედვით. მოსმენის სტრატეგიები.	2 სთ. ლექცია 4 სთ. პრაქტიკული 2 სთ. დამოუკ.	
V	კითხვის უნარის განვითარება. კითხვის სტრატეგიები. ინტესიური და ექსტენსიური კითხვა.	3 სთ. ლექცია 3 სთ. პრაქტიკული 2 სთ. დამოუკ.	
VI	წერის უნარის განვითარება. პარაგრაფიდან ესემდე. შეფასება და შეცდომები.	2 სთ. ლექცია 4 სთ. პრაქტიკული 2 სთ. დამოუკ.	
VII	საუბრის უნარის განვითარება. როლური თამაშები.	2 სთ. ლექცია 4 სთ. პრაქტიკული 3 სთ. დამოუკ.	
VIII	შეცდომები და მათი გასწორების სხვადასხვა ტექნიკა. ტესტირება და შეფასება. <b>შუალედური შეფასება (კოლოკვიუმი).</b>	2 სთ. ლექცია 2 სთ. პრაქტიკული 2 სთ. კოლოკვიუმი 3 სთ. დამოუკ.	
IX	გაკვეთილის მიზნები. ფორმალური და არაფორმალური დაგეგმვა. სხვადასხვა აქტივობები და გაკვეთილის კომპონენტების	2 სთ. ლექცია 2 სთ. პრაქტიკული 6 სთ. დამოუკ.	

	თანამიმდევრობა.		
X	გაკვეთილის დაგეგმვა და მენეჯმენტი, დამხმარე საშუალებები და აქტივობები. სწავლების გამჭოლი მიზნები, მეცადინეობის კონკრეტული მიზანი. შუალედური შეფასება (გაკვეთილის გეგმების პრეზენტაციები).	2 სთ. ლექცია 2 სთ. პრაქტიკული 2 სთ. პრეზენტაცია 7 სთ. დამოუკ.	
XI	შემაჯამებელი გამოცდა.	2 სთ.	ჯგუფის ტრენერი.

სულ: 60 საკონტაქტო + 40 დამოუკიდებელი მუშაობის სთ. = 100 სთ. (4 კრედიტი).

\*თითოეული ტრენერი (რუსუდან დოლიძე, ციური ბაჯელიძე, მანანა რუსიეშვილი) მუშაობს 1 ჯგუფთან. ერთმანეთის პარალელურად შესაძლებელია იმუშაოს სამმა ჯგუფმა.

## ხარისხის უზრუნველყოფა

**პროგრამის რაციონალური საფუძვლები** – განათლების რეფორმის ფარგლებში შეიცვალა ზოგადად სკოლის და, კერძოდ კი, უცხო ენის მასწავლებელთა მიმართ არსებული მოთხოვნები. კომუნიკაციური უნარების ჩამოყალიბებაზე აქცენტის გადატანა მასწავლებლისგან მოითხოვს შესაბამის მეთოდურ ცოდნას. კურსის მიზანია გააცნოს მასწავლებლებს უცხოური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდიკა და კომუნიკაციური უნარების სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული პრობლემები. პროგრამის განხორციელება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის პროფესურას კიდევ უფრო გააღრმავოს კონტაქტები სკოლასთან, პედაგოგებთან, პოტენციურ დამსაქმებლებთან. სკოლის მასწავლებლის კვალიფიკაციის ამაღლება გამოიწვევს სკოლაში სწავლების ხარისხის ზრდას, მოსწავლის – მომავალი სტუდენტის – ინტელექტუალური დონის ამაღლებას, რაც დადებითად იმოქმედებს უნივერსიტეტში სწავლების პროცესზეც. გარდა ამისა, პროგრამის განხორციელება დამატებითი შემოსავლის წყაროსაც წარმოადგენს.

ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ენების სასწავლო ცენტრის მასწავლებლები: ციური ბაჯელიძე და ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი რუსუდან დოლიძე, ინგლისური ფილოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მანანა რუსიეშვილი.

ციური ბაჯელიძეს გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, აქვს ტრენერის სტატუსი და ტრენინგების ჩატარების გამოცდილება. რუსუდან დოლიძეს გავლილი აქვს როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი (უცხოელი სპეციალისტების მიერ ჩატარებული) ტრენინგები ინგლისური ენის სწავლების მეთოდიკაში; გამოცემული აქვს ინგლისური ენის სახელმძღვანელო. მანანა რუსიეშვილი არის ბრიტანეთის საბჭოსა და საქართველოს ინგლისური ენის მასწავლებელთა ასოციაციის მიერ აპრობირებული ტრენერი; აქვს ლონდონის International House Teacher Training College-ის მიერ მინიჭებული სერტიფიკატი; არის სამი სახელმძღვანელოს ავტორი და რამდენიმე სახელმძღვანელოს თანაავტორი, გავლილი აქვს საკვალიფიკაციო სტაჟირებები როგორც საქართველოში, ისე ინგლისში; რეგულარულად ატარებს პრეზენტაციებსა და ტრენინგებს ინგლისური ენის მასწავლებელთათვის, ასევე მონაწილეობს მეთოდურ კონფერენციებში.

**მონაწილეთა შეფასების სისტემა** – მონაწილეთა შეფასებისას გამოიყენება შეფასების 100 ქულიანი, მრავალკომპონენტური სისტემა.

დასწრება: 10%

სამი შუალედური შეფასება (2 კოლოკვიუმი და 1 პრეზენტაცია): 60% (თითოეული კოლოკვიუმი და პრეზენტაცია ფასდება 20 ქულით).

საბოლოო გამოცდა: 30%

პირველი და მეორე მოდულების დასრულების შემდეგ დაგეგმილია მოდულის შემაჯამებელი კოლოკვიუმი განვლილ მასალაზე, რომელიც ტესტური ფორმით ჩატარდება. თითოეული კოლოკვიუმი ფასდება მაქსიმუმ 20 ქულით.

მესამე მოდულის დასრულების შემდეგ გათვალისწინებულია თითოეული მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გეგმის პრეზენტაცია, რომელიც ასევე 20 ქულით ფასდება.

საბოლოო შეფასება მოხდება კურსის დასრულებისას ტესტური გამოკითხვის ფორმატით. ტესტში შეტანილი იქნება მთელი ის მასალა, რომელიც კურსის განმავლობაში იქნა მოსმენილი და დამუშავებული. საბოლოო გამოცდის მაქსიმუმი 30 ქულაა.

კურსის დასრულებისთვის აუცილებელია საერთო შეფასების 61% დაგროვება.

**სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე პირობები** – ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, ბიბლიოთეკით, სადაც ინახება ყველა ის სახელმძღვანელო, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით.

პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ აგრეთვე თსუ კომპიუტერული რესურს-ცენტრებით, UTP საკაბელო ინტერნეტ-კავშირით.

ლექციებზე გამოყენებული იქნება თვალსაჩინოება – სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები (Power Point), აუდიომასალა.

პროგრამის მსმენელებს სისტემატურად ჩაუტარდებათ კონსულტაციები, სადაც მიიღებენ კვალიფიციურ პასუხს მათ მიერ დასმულ კითხვებზე, რომლებიც შეეხება როგორც პროფესიულ ცოდნას, ისე სწავლების მეთოდიკას.

**სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები** – კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვება. კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 61 ქულის დაგროვება.

იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელი ვერ შეძლებს შესაბამისი კრედიტების დაგროვებას, მას მიეცემა არა სერტიფიკატი, არამედ აკადემიური ცნობა, რომ აღნიშნული პროგრამა, ან მისი რომელიმე მოდული მოისმინა.

**პროგრამის შეფასება** – პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისათვის გამოიყენება თვითშეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს შემდეგ მექანიზმებსა და პროცედურებს:

ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ექსპერტების მიერ) სპეციალური ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 19 სექტემბრის # 800 ბრძანების და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მოთხოვნების თანახმად და რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III). აღნიშნული ფორმისა და კრიტერიუმების გაცნობა

შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>);

ბ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის საჯარო განხილვა თსუ აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების (ანუ სკოლის მასწავლებელთა) მონაწილეობით; საჯარო განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების, მოსაზრებების, წინადადების გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში;

გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III); აღნიშნული პროცედურის გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>);

დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელთა გამოკითხვა პროგრამის დასრულების შემდეგ, ხოლო მსმენელების შენიშვნების გათვალისწინება პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კითხვარი დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III) და მისი გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ე) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ლექციებზე (პრაქტიკუმებზე, სემინარებზე) სხვა კოლეგების დასწრება. ლექციის (პრაქტიკუმის, სემინარის) შეფასება გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (იხ. დანართი III) და განთავსებულია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ვ) სერტიფიკატის გაცემა გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია თსუ რექტორის 2008 წლის 19 დეკემბრის # 113/01-01 ბრძანებით „მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის დამზადების, აღრიცხვა-ანგარიშგების, შენახვისა და გაცემის წესისა და სერტიფიკატის ნიმუშის დამტკიცების შესახებ“; (იხ. დანართი VII).

ხარისხის უზრუნველყოფის ზემოთ მოყვანილი მექანიზმები და პროცედურები ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, თსუ წესდებას (იხ.: [www.tsu.ge/docs/cesdeba.pdf](http://www.tsu.ge/docs/cesdeba.pdf), [www.tsu.ge/docs/cesdebashi%20cvlileba-saministro.pdf](http://www.tsu.ge/docs/cesdebashi%20cvlileba-saministro.pdf)), „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“, რომელიც მომზადებულია უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ (იხ.: [www.tsu.ge/qa/doc/QA\\_geo.pdf](http://www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf)).

## პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

**პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები** – ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, ენების ცენტრის მასწავლებელი და დირექტორი.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და წევრი ფილოლოგიის მიმართულებით.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან აკრედიტაციის მიღების შემდეგ გაფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი სამუშაო დატვირთვა (საკონტაქტო საათები) და შესაბამისი ანაზღაურება. თსუ აკადემიურ პერსონალთან და მოწვეულ პედაგოგებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები წარმოდგენილია დანართის სახით (იხ. დანართი VIII). მოწვეული პედაგოგების ანაზღაურების საკითხი რეგულირდება თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წლის 30 იანვრის # 12/02–01 და 2008 წლის 2 მაისის # 58/02–01 ბრძანებებით, რომლებიც ასევე მოცემულია დანართის სახით (იხ. დანართი IX).

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურაში, აღნიშნული პროგრამების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებში, რომლებიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>, <http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>) (იხ. დანართი III).

კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სწავლის, მუშაობის, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს.

**პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ–ტექნიკური რესურსები** – ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება თსუ III და V კორპუსებში, კერძოდ, შემდეგ სასწავლო აუდიტორიებში (შენობა–ნაგებობებისა და მატერიალურ–ტექნიკური ბაზის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციისთვის იხ. დანართი V):

მისამართი	კორპუსის #	აუდიტორიის #	ფართი
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	115	30 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	121	30 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	208	50 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	220	50 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	224	30 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	232	43 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	313	108 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	318	27 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	110	43 მ <sup>2</sup>

ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	204	66 მ <sup>2</sup>
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	215	38 მ <sup>2</sup>

ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ II კორპუსის კომპიუტერული რესურს-ცენტრით და საშუალება ექნებათ თავისუფლად გამოიყენონ ინტერნეტ-რესურსები პროფესიული განვითარების მიზნით:

მისამართი	კორპუსის #	რესურს-ცენტრში კომპიუტერების რაოდენობა
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	40

ლექციებზე გამოყენებული იქნება სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები – პორტატული კომპიუტერი და პროექტორი.

ინგლისური ენის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ ბიბლიოთეკით, სადაც ინახება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო:

მისამართი	ბიბლიოთეკის დასახელება	წიგნადი ფონდი
უნივერსიტეტის ქ. # 11	საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა	4 291 941 წიგნი

**პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სტრატეგია** – 2007 წლის 19 მარტს თსუ აკადემიური საბჭოს # 14 დადგენილებით დამტკიცდა თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2007–2010 სასწავლო წლებში (იხ.: <http://www.tsu.ge/news/acadc/dad14.asp>), რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის შექმნა;  
 სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება–დანერგვა;  
 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება;  
 თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში;  
 საბიბლიოთეკო ფონდის განახლება;  
 მატერიალურ–ტექნიკური ბაზის სრული რეაბილიტაცია.  
 თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმის ზემოთ აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

ა) 2006–2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე შეძენილია 1 200 კომპიუტერზე მეტი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც

წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითშეფასების კითხვარის დანართის სახით.

ბ) დღეისათვის თსუ-ს ექვს ფაკულტეტს ემსახურება 26 კომპიუტერული ლაბორატორია და რესურს-ცენტრი.

გ) თსუ-ში ფუნქციონირებს: ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკა, იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, მედიცინის ფაკულტეტის ბიბლიოთეკა, ევროპული კვლევების ინტერფაკულტატური ბიბლიოთეკა, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიბლიოთეკა, ბრიტანეთის საბჭოს ბიბლიოთეკა.

დ) 2006–2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე თსუ ბიბლიოთეკების წიგნად ფონდს დაემატა 755 998 სახელმძღვანელო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითშეფასების კითხვარის დანართის სახით.

ე) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს ელექტრონული სწავლების სისტემა Moodle: <http://moodle.science.tsu.ge>. უახლოეს მომავალში იგეგმება მსგავსი სისტემის დანერგვა თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც.

ვ) ამჟამად მიმდინარეობს თსუ-ს პირველი და მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია, რომელსაც აფინანსებს ფონდი „ქართუ“. თსუ მეორე კორპუსში ცალკეული აუდიტორიების რეაბილიტაცია და სასწავლო ინვენტარით აღჭურვა ხდება საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ. დაგეგმილია თსუ-ს მაღლივი კორპუსების ტერიტორიის კეთილმოწყობა და „ცოდნის ქალაქის“ მშენებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია სხვადასხვა წყაროებიდან 250 მლნ. ლარის მობილიზება.

ზ) 2008 წლის 29 დეკემბერს თსუ წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა თსუ შემდეგი ადმინისტრაციული სტრუქტურები: „საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი“, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში და „აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“, რომლის მიზანია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და ამოქმედებაზე ზრუნვა, სხვადასხვა სახის სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება–დანერგვა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება და სხვ.